საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

ხუთშაბათი, 5 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 9 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 9

„კომუნიზმს ახასიათებს არა მოსპობა საკუთრებისა საერთოთ, არამედ მოსპობა ბურჟუაზიული საკუთრებისა“.....

„თქვენ გაშფოთებთ ის რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ კერძო საკუთრება. მაგრამ თქვენს დღევანდელ საზოგადოებაში ის უკვე მოსპობილია მისი ცხრა მეათედისთვის: ის სწორეთ იმიტომ არსებობს, რომ ამ ცხრა მეათედისთვის არ არსებობს. მაშასადამე, თქვენ იმას გვაყვედრით, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ ის საკუთრება, რომლის არსებობის მიუცილებელი პირობაა საკუთრების არ ქონვა მცხოვრებთა დიდი უმრავლესობისათვის.

ერთი სიტყვით, თქვენ იმას გვაყვედრით, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ თქვენი საკუთრება. მართალია, ჩვენ ეს გვსურს“.

**კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „კომუნისტური მანიფესტი“ გვ 36, 39.**

## სიკვდილის აჩრდილის წინ

დღეს ქუთაისის ციხის ჩვენი პატიმარი—ამხანაგები, რიცხვით 80-ზე მეტი, შიმშილობას იწყებენ, თუ მათი სამართლიანი მოთხოვნა მთავრობამ არ დააკმაყოფილა. თბილისის ციხეში მყოფ კომუნისტებსაც მოთხოვნით მიუმართავთ მთავრობისთვის კონკრეტიული ბრალდების წამოყენების ან და დაუყონებლივ გათავისუფლების შესახებ—წინააღმდეგ, შემთხვევაში ისინიც შიმშილობას იწყებენ ხვალიდან. მხოლოდ 13 მაისს გაიღო საქართველოს რესპუბლიკის ციხის კარები და კომუნისტები გარეთ გამოვიდნენ, დიდიხნის პატიმრობის შემდეგ, დაუძლურებულ-დაავადმყოფებულნი ფიზიკურათ, დატანჯულნი სულიერათ და ზნეობრივათ. ერთი თვეც კი არ გასულა და ბევრი მათგანი ხელახლა ციხის საკნებში იქნენ გამოკეტილი, ხელახლა გახდენ ციხის მომაკვდინებელ პირობების სალუკმო. და აი ეს დასუსტებული, ფიზიკურათ და ზნეობრივათ განაწამები ჩვენი ამხანაგები დღეს გამანადგურებელ შიმშილობის წინ დგანან. ბევრი მათგანი შეიძლება სიკვდილს ჩასჩერებია თვალებში. და ეს იმიტომ, რომ მათ დასუსტებულ არსებამაც ვერ აიტანა ის აშკარა ძალადობა, რისი მსხვერპლი შეიქნენ ისინი, ვერ შეურიგდა იმ ალმაშფოთებელ თვითნებობას, რაიც გამოიხატა მათი უმიზეზოთ ციხეში ჩაყრით და რაიმე ბრალდების წარუდგენლობით. უკანასკნელი სულის ღაფვამდე განვაგრძობთ ბრძოლას, სწერენ ქუთაისის პატიმრები; სიკვდილს ვარჩევთ დათმობას, აცხადებენ მეტეხში გამომწყვდეული ჩვენი ამხანაგები. არ გინდა დაიჯერო, არ გინდა იფიქრო, რომ ეს ხდება მეოცე საუკუნეში, რევოლიუციია ნახულ ქვეყანაში, დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ვიცით რომ ყოველი მთავრობა სდევნის თავის მოწინააღმდეგეს, თავის მტერს. ვიცით, რომ საქართველოს მმართველ პარტიას და მის მთავრობას სხვებზე უფრო საგონებელში აგდებს ჩვენი პარტიის თავისუფლად არსებობა, არ ვითხოვთ შენდობას, არ გავურბივართ პასუხისმგებლობას, ვითხოვთ მხოლოდ სულ უბრალო რამეს: ციხიდან გათავისუფლებას, რაკი არავითარი ნამდვილი ბრალდება არ წაუყენებიათ ჩვენი ამხანაგბისათვის და ვერც წაუყენებენ. და თუ ეს უბრალო მოთხოვნილებაც კი დაკმაყოფილებული არ იქნა ახლავე და ჩვენი ამხანაგები შიმშილობის მსხვერპლი შეიქნენ, ეს იქნება მათი განზრახული მკვლელობა, მათი დახრჩობა. მაშ ნუ გახდებით ამ შემთხვევაში მენშევიკებო მკვლელებათ, ნუ გახდებით კომუნისტების მოფიქრებულ დამხრჩობელებათ! გაუღეთ ციხის კარები, გაათავისუფლეთ უმიზეზოთ დატუსაღებული ჩვენი ამხანაგები! ნუ აამუშავებთ სიკვდილის ცელს!

## საბჭოთა პოლონეთი.

ჩვენი გაზეთის 28 ივლისის ნომერში ვწერდით: „დღის წესრიგში დგება პოლონეთის მშრომელი ხალხის ზეწამოდგომა, ხმის ამაღლება, მკლავის ამუშავება და რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, შინაური და გარეშე ბურჟუაზიის წინააღმდეგ გალაშქრება. უკვე გაისმა კამანდა: „შეერთებული ძალებით, წინ!“ შეიძლება სულ მოკლე ხანში საბჭოთა რუსეთმა ნამდვილი ხალხური, ძმური ზავი და კავშირი შეკრას საბჭოთა პოლონეთისათვის [illegible] რევოლიუციის მუდმ ჩინებულათ მუშაობს“.

დღეს შევვიძლია მიულოცოთ მკითხველს საბჭოთა პოლონეთის გაჩენა. ბრესტ-ლიტოვსკში, სადაც ორნახევარი წლის წინეთ გამგელებულმა იმპერიალიზმა დანა დააჭირა გულზე პროლეტარულ რევოლიუციას და ყაჩაღურ ზავზე განუსჯელათ ხელი მოაწერა. იმ ბრესტ-ლიტოვსკში დღეს უკვე საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარი დგას და იქვე შემდგარა პოლონეთის რევოლიუციონური მთავრობა ამხ. მარხლევსკის მეთაურობით. წითელი რუსის ჯარის წინსვლა ვარშავისკენ შეიძლება საჭიროც აღარ დარჩეს, მის მაგიერობას გასწევს საბჭოთა პოლონეთის ახალგაზრდა წითელი ლაშქარი: ასალები და გასანადგურებელი ახლა ამ ორ წითელ ჯარს სხვაგან აქვთ: შეერთებული ძალებით, მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

კეთილ იყოს საბჭოთა პოლონეთის მომასწავებელ „რევკომის“ დაბადება! გაუმარჯოს მას! გაუმარჯოს მის ბებიას და ნათლიას—წითელ რუსეთს?

## საქართველოს ეკონომიური პოლიტიკა!

(იხ. პირველი თავი „საქ. კომ.“ № 22).

II

„ როგორც ხედავს მკითხველი, მენშევიკები საკუთარი ხელით აწყობენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, ქმნიან ნამდვილ ბურჟუაზიულ წყობილებას; ამასთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობენ მის შესანარჩუნებლათ.

რას ნიშნავს ეს და რა შედეგი უნდა მოყვეს ამგვარ „მოღვაწეობას“? თავისთავათ იგულისხმება, რომ მენშევიკების პრაპაგანდისტები არ დაიწყებენ ფაბრიკა-ქარხნების შენებას საქართველოში მუშების გასაყვლეფათ, თავის სასარგებლოთ. ისინი დამოუკიდებლათ კი არ მიიღებენ მონაწილეობას საწარმავო ძალების ორგანიზაციის პროცესში ამ საქმეს, როგორც ეტყობა, მიანდობენ საქართველოს ნორჩ ბურჟუაზიას. თავისთვის დაიტოვებენ მხოლოდ უფლებას ლაპარაკისას.

მაშასადამე აქ ჩვენ თვალწინ გვაქვს ის ფაქტი, რომლის ძალით მენშევიკები ნებას რთავენ ბურჟუაზიას, რათა მან ყვლიფოს საქართველოს მუშები და გლეხები. ისინი თანახმანი არიან დასტოვონ ერთი მუჭა კაპიტალისტების ხელში საყვლეფი იარაღები და მით საშუალება მისცენ ღარიბი ხალხის მტრებს უმრავლესობის შრომით ფუფუნებაში იცხოვრონ. ამ პირობებში მუშები ვერ მიიღებენ თავის შრომის სრულ ღირებულებას. ესევე ითქმის ღარიბი გლეხების შესახებაც, რომლებიც ოფლით ქმნიან ადგილობრივ ნაწარმოებს, და რომლებიც იძულებულნი არიან ჩალის ფასათ აძლიონ თავისი ნაოფლარი ათას გვარ შუამავლებს. ამ რიგად საქართველოს ხალხი რჩება ისევ ისე დაჩაგრული ეკონომიურათ, როგორც აქამდე იყო. კაპიტალისტებს ისევ ისე ექნებათ უფლება მშრომელი ხალხის მიერ შექმნილ ღირებულების მითვისებისა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალისტები საწარმოვო ძალების „გასავითარებლათ“ საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლათ სამშობლოს „ასაყვავებლათ“ და სხვა ათას გვარ ხრიკებს გამოიგონებენ მუშათა კლასის საწინააღმდეგოთ, რათა ამით მოუსპოს მას კლასთა ბრძოლის წარმოების საშუალება, ყოველგვარ წინააღმდეგობის გა[illegible] საქართველოს მდიდრები ამას ახერხებენ კიდევაც მენშევიკების დახმარებით. საკმარისია გაბატონებულმა პარტიამ წარბშეუხრელათ განაგრძოს თავისი ეკონომიური პოლიტიკის გატარება ცხოვრებაში, რომ ყოველგვარ „კანონიერ“ მცარცველებმა იშოვოს საბაბი მუშების გაყვლეფისა „თავისუფალ“ საქართველოში.

მართლაც და ბურჟუაზიული სახელმწიფო საჭიროებს საწარმოვო ძალების განვითარებას იმ პირობით, თუ კერძო საკუთრების ინსტიტუტი ხელუხლებელი დარჩება, თუ ერთ მუჭა მძარცველების ხელში იქნება მთელი ქვეყნის სიმდიდრე. ამ პირობებში საწარმოვო ძალების განვითარება კი აიძულებს მენშევიკებს უღალატოს მარქსიზმს, უღალატოს კლასთა ბრძოლის პრინციპს და მხარი დაუჭიროს ეკონომიურათ გაბატონებულ კლასს. მსხვილ წარმოებაში მომუშავეებმა უკვე დაკარგეს უფლება ბრძოლის საშუალებით თავიანთი ცხოვრების პირობები გაიუმჯობესონ, რადგანაც მათ მიერ წინააღმდეგობის გაწევა დღევანდელ პირობებში ნიშნავს მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებას, დემოკრატიის ღალატს და „ანარქისტობა[illegible]ს მოსწავებს“. ამას გარდა არის მთელი რიგი წარმოებისა, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნის, იმ სახელმწიფოს, რომელსაც სათავეში მენშევიკები უდგანან. აქ მუშების გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე ძალა-უნებურათ პოლიტიკურ ხასიათს მიიღებს. ასეთი შეხედულებისა იყვნენ მენშევიკების ხმოსნები ქ. თბილისის მუშა-მოსამსახურეების გაფიცვის დროს. ასეთივეა რკინის გზის მოსამსახურეების მდგომარეობაც.

აქედან ცხადია, რომ მენშევიკების ეკონომიური პოლიტიკა მუშების და მშრომელი კლასების წინააღმდეგ არის მიმართული. ის მიმართულია კლასთა ბრძოლის პრინციპის წინააღმდეგ ე. ი. იმ პრინციპის, რომელზედაც ყოველი ჭეშმარიტი მარქსისტი უნდა აშენებდეს თავის მოღვაწეობას. მეორეს მხრით ხომ შესაძლებელია, რომ მიუხედავათ დღევანდელი სოციალისტური“ მთავრობისა საქართველოში, მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობა გაბატონებულ კლასის სასარგებლოთ აწყობს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და ამავე დროს მშრომელი ხალხის დამცველათ აღიარებს თავის თავს, ხალხი არ დაემორჩილოს ახალ ბატონებს და შეუდგეს ბრძოლას კაპიტალისტურ წესწყობილების დასამხობათ; ვის უნდა ებრძოლონ მუშებმა, კაპიტალისტებს თუ მის დამცველ მენშევიკებს? მუშების წინააღმდეგ გაილაშქრებს, რასაკვირველია, ის ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომელსაც მენშევიკები ამყარებენ და ამაგრებენ. სოციალისტურ მთავრობას მოუხდება მუშების და გლეხების წინააღმდეგ გალაშქრება იარაღით. უამისოთ შეუძლებელიც არის ძალა უფლების შენარჩუნება. რაც უნდა კარგი სოციალისტები უდგენ სახელმწიფოს სათავეში და, რაც უნდა კარგი სოციალისტებიდან შესდგებოდეს მთავრობები მაინც არსებულ ეკონომიურ ურთიერთობის გამომხატველი არის და იქნება. თუ სახელმწიფო ბურჟუაზიულია მთავრობაც იძულებულია დაიცვას მდიდრების ინტერესები, თუ იგ პროლეტარულია, იმ შემთხვევაში სახელმწიფო არ უნდა იყვეს და არც იქნება ბურჟუაზიული. ერთი სიტყვით სოციალისტურ მთავრობას მოუხდება სასტიკი ზომების მიღება იმ სოციალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ბურჟუაზიას ომს გამოუცხადებენ. სახელმწიფო აამუშა[illegible] სამოქალაქო და უკიდურეს შემთხვევაში სამხედრო საველე სასამართლოებსაც კი—გამოუცხადებს მშრომელ ხალხს ნამდვილ ომს და ამგვარ ზომებით დაიმორჩილებენ რევოლიუციონერებს. აქ საინტერესოა ნოე ჟორდანიას სიტყვები სოციალდემოკრატთა მინისტრის როლის შესახებ: „სოციალ-დემოკრატი მინისტრი! ეს ნიშნავს სოციალ-დემოკრატ გუბერნატორს, სოციალ-დემოკრატ პოლიციელს, სოციალ-დემოკრატ ჟანდარმს, ერთი სიტყვით სოციალ-დემოკრატ ბიუროკრატს. თუ კი უმრავლესობამ მინისტრის პორტფელი ხელთ იგდო, მაგალითათ: შინაგან საქმეთა მინისტრის, რადგან ამას ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს, უეჭველია, ის თავის ამხანაგთ განაწესებს ყველა საპოლიციო თანამდებობაზე და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი გუშინდელი ამხანაგები ახალ ბატონებათ მოგვევლინებიან.—და თუ მუშები არ დაკმაყოფილდენ დემოკრატიული რეფორმებით და მოინდომეს ბურჟუაზიული ბატონობის დანგრევაც დროებითი მთავრობა „უმრავლესობის“ დახმარებით, მუშებს ჩააჩუმებს ან ნებით და ან ძალით“*).

ვინ დაიჯერებს იმას, რომ ამას ამბობდა და ამას სწერდა ნ. ჟორდანია, ის ნ. ჟორდანია, რომელიც დღეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეა. განა „სოციალ-დემოკრატი“ მინისტრის როლში არ გამოსულან ჩვენი მენშევიკები? განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ხიშტებით ჩააჩუმეს ისინი, ვინც არსებულ ბურჟუაზიულ წყობილების გაუქმებას მოითხოვდენ?

ეს მოხდა იმიტომ რომ ჩვენში მენშევიკები არ აკეთებენ თავის საქმეს, არამედ ბურჟუაზიის ზრახვებს ატარებენ ცხოვრებაში. ამიტომ ისინი უნდა მოქცეულიყვნენ ისე, როგორც მოიქცნენ, ე. ი. ციხით კატორღით და სიკვდილით დასჯით გაეცათ პასუხი სოციალისტების მოთხოვნილებაზე. ეს პირდაპირი შედეგია მათი ეკონომიური პოლიტიკის.

მთავრობა ვალდებულია თავის დროზე მიიღოს ზომები ბურჟუაზიულ ნიადაგზე საწარმოვო ძალები განვითაროს. ამიტომ ის იძულებულია ებრძოლოს საქართველოში ისეთ საქონლის შემოზიდვას, რომელიც აქ მზადდება, თუ გინდ ეს საქონელი გაცილებით მეტი უჯდებოდეს ჩვენს მომხმარებლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ ვერ განვითარებენ „სამშობლოში“ წარმოებას. ასეთი ზომა სასურველია იმათთვის ვინც ბურჟუაზიულ სახელმწიფოს თვალსაზრისზე სდგას, რადგანაც ამ საშუალებით „სამშობლოს“ კაპიტალისტებს კონკურენტებს მოაშორებენ. უამისოთ მთელს საქართველოს ტერიტორიაზე გაჩაღდება ეკონომიური ბრძოლა ჩვენს ნორჩ ბურჟუაზიის (რომელსაც იცავენ მენშევიკები) და უცხო ქვეყნების კაპიტალისტთა შორის. ბრძოლა კი დამთავრდებოდა „სამშობლოს“ კაპიტალისტების დამარცხებით რასაც ვერ ეგუებიან მენშევიკები.

იმდენათ, რამდენათაც ამ გვარი პოლიტიკა სასარგებლო არის ჩვენ ნორჩ ბურჟუაზიისათვის, იმდენათ მავნებელია მშრომელთა მასისათვის, რადგანაც ეს გარემოება, დღევანდელ პირობებში მაინც აძლევს საშუალებას უზომოთ და დაუსჯელათ ყვლეფონ კაპიტალისტებმა მუშები ათასგვარ ლაქიების დახმარებით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამის წინააღმდეგ წავა მშრომელი მასა, რადგანაც დღეს კაპიტალისტური ხანას გამტკიცება და გამაგრება არაფის არ შესძლეს.

მაგრამ დაუშვათ, მენშევიკებმა ეს შესძლეს. დაუშვათ მათ დროებითი მაინც შეაჩერეს გაბატონებული კლასის ეკონომიურათ მოსპობა?

რა შედეგი მოყვება ამას? შეგვიძლია თუ არა ეხლავე ავღნიშნოთ ის, თუ საითკენ მიაქანებს ეს მუშებს?

დიახ ეს შეგვიძლია და კიდეგაც უნდა ვსთქვათ. საქმე იმაშია, რომ საუბედუროთ სომხეთშიც ასეთ პოლიტიკას აწარმოებენ დაშნაკელები. ამ მხრივ მენშევიკებსა და დაშნაკელებს შორის არავითარი განსხვავება არ არის. იქაც მიზნათ აქვთ დასახული ბურჟუაზ. სომხეთის გამაგრება და განვითარება. იქაც ცდილობს მთავრობა განავითაროს „სამშობლოს“ წარმოება და ამ მიზნის მისაღწევათ სომხეთის კაპიტალისტებს უცხო ქვეყნების კონკურენტები თავიდან ააშოროს. სანამ საქართველოც ისე როგორც სომხეთი ეკონომიურათ განადგურებულნი არიან—მანამ უთანხმოებას მათ შორის არ ექნება ფართო ნიადაგი.

საკმარისია საქართველოს მდიდრებმა მენშევიკების წყალობით გამაგრდნენ და გაბატონდნენ მუშებზე და გლეხებზე, საკმარისია მათ მიერ ერთგვარი ეკონომიური ძლიერების შექმნა, რომ პოლიტიკა სულ სხვანაირათ შეიცვალოს. ჩვენი კაპიტალისტები შეეცდებიან საქონლის დამზადებას საზღვარ-გარეთისათვის, მაგალითად, სომხეთში გასასაღებლათ. იქ შეეცდებიან აქედან გატანილ საქონლის გასაღებას უფრო იაფათ ვიდრე საქართველოში, რომ ამით კონკურენცია გაუწიონ იქ კაპიტალისტებს. ასეთი მაგალითები ბევრი იცის ისტორიამ. ეს თანდაყოლილი თვისებაა ბურჟუაზიულ წყობილების განვითარებისა. ეს ადვილი შესაძლებელი არის, რადგანაც ამ შემთხვევაში საქართველოს კაპიტალისტები განსხვავების ფასებში გადაახდევინებენ ჩვენს მომხმარებლებს.

*) ნ. ჟორდანია. „დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია“ (1905-1917 წ.წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბრესტში საბჭოთა რუსეთის წითელი არმია გამაგრდა.**

**ბრესტი კვლავ ისტორიულ როლს თამაშობს!**

**წითელი რუსეთი ბრესტის გზით დღეს წინამძღოლათ მოევლინა მთელი ევროპის მშრომელთა მილიონ მასსებს.**

**ბრესტში უკვე შედგა საბჭოთა პოლონეთის სამხედრო-რევოლიუციური კომიტეტი, რომელიც მომავალ კომიტეტის დროებითი მთავრობის როლს შეასრულებს. პოლონეთის მშრომელი მასსა მას აღტაცებით მიეგებება ვარშავის შესავალ კარებში. გაუმარჯოს საბჭოთა პოლონეთს!**

რუსეთის შაქარს მაგალითად, ინგლისში უფრო იაფათ ყიდდენ, ვიდრე რუსეთში.

რასაკვირველია სხვა ქვეყნების კაპიტალისტებიც არ დარჩებიან გულზე ხელდაკრეფილი.

იქაც ასეთსავე ზომებს მიიღებენ თავის წარმოების შესანარჩუნებლათ როგორც აქ. ამიტომაც ამ ნიადაგზე აუცილებელია მოსალოდნელი კონფლიქტი, რომელიც სისხლის ღვრით გათავდება.

რა პოზიცია უნდა დაიჭიროს საქართველოს მუშებმა თუ ისინი დღევანდელ მენშევიკურ პოლიტიკას გაიზიარებენ? ცხადია, მომავალშიაც იძულებულნი იქნებიან დაღვარონ სისხლი ბურჟუაზიის სასარგებლოთ,

ასეთია შედეგი დღევანდელი ეკონომიური პოლიტიკისა საქართველოში.

მორიელი

## ადგილობრივი პრესა

მენშევიკებს უკვე არჩეული ყავთ „მუშური" დელეგაცია საბჭოთა რუსეთში გასაგზავნათ. „ნამდვილ მუშების" როლში უნდა გამოვიდენ ასეთი პროლეტარები, როგორც ბ.ბ. დგებუაძე, მგელაძე, ასათიანი და სხ. „ერთობა მეტის მეტად ნასიამოვნებია:

„არჩეულ დელეგატების სია გვიჩვენებს, რომ დელეგაციის გაგზავნა მუშებს ისეთ საქმეთ მიაჩნიათ, რომელიც პარტიულ კერძოობის გარეშე უნდა იდგეს; ამ საქმეს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და დელეგატთა სიაც იმ განზრახვით არის შედგენილი, რომ შიგ ყოველმა მიმართულებამ ჰპოვოს თავისი გამოხატულება: მასში ადგილი დათმობილი აქვს გარდა სოც.-დემ. პარტიისა, ფედერალისტებსაც, ესერებსაც, დაშნაკელებსაც, ე. ი. ყველა იმ პარტიებს, რომლებსაც ჰყავთ ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშები. დელეგაციის შედგენის ასეთი წესი ჩვენ სრულიად სწორად მიაჩნია: [illegible] ხედავს ფაქტებს და თავისებურად აშუქებს მათ. საჭიროა, რომ რუსეთში ნახულ-გაგონილი ყოველ მხრივ იყოს გაშუქებული და აწონ-დაწონილი" „ყოველი მიმართულება—ეს მენშევიკი—ესერი—ფედერალისტი და დაშნაკი ყოფილა, არც მეტი, არც ნაკლები. გაზეთსუნდა დაემატებია:

ყოველი მიმართულება წვრილბურჟუელი „სოციალიზმ"—ნაციონალიზმის, ვინაიდან ამათ გარდა მუშები „ჰყავთ" ალბად ზოგ სხვა პარტიასაც, აი თუნდა იმ პარტიას, რომელსაც თანაუგრძნობდენ მენშევიკების მიერ დანგრეული უდიდესი პროფ. კავშირები მეტალისტების, მეტყავეების და სხ... სად არის ამ პარტიის წარმომადგენლები? ნუ თუ ციხის გარეთ აღარავინ დარჩა მის წევრებიდან? ნუ თუ ყველა იმალება? მიმართეთ მასაც, თუ თვალი მოარიდეთ? ან თუ მიმართეთ, რა პასუხი მიიღეთ?

„დელეგაციის ასეთს შემადგენლობას კიდევ სხვაფრივ ექნება დიდი მნიშვნელობა. საბჭოთა რუსეთის მუშები პირისპირს შეხვდებიან საქართველოს მუშებს, არა პარტიის წარმომადგენლებს, არამედ ნამდვილ მუშებს, რუსეთის მუშებამდის მივა ხმა ჭეშმარიტი დემოკრატიისა; დემოკრატიის მოწინავე რაზმი, მის სულისკვეთების საუკეთესო გამომხატველი ამცნობს რუსეთის მოწინავე დემოკრატიას თავის ჭირ-ვარამს, თავის ზრახვებს, თავის შეხედულებას ახლო წარსულზე, ამწყოზე და მომავალზე".

მეტი რაღა გზა გაქვთ, ხაზი უნდა გაუსვათ, ყურადღება უნდა მიაქციოთ მკითხველის, რომ დგებუაძე-ასათიანები ნამდვილი მუშებია და არამც და არამც მენშევიკების წარმომადგენელი. მარა რომ ვინმემ შეეკითხოს რომელიმე მათგანს რუსეთში—სად მუშაობთ—რა უნდა უპასუხონ, თუ ოდესმე ნამდვილი მუშები ყოფილან და გულის ძირში მაინც ნამდვილი მუშური გრძნობა ულვივისთ? „ერთობა" გაზ. „კლდეს" ეკამათება, რომელმაც გულახდილათ გამოსთქვა, რომ თუ რაიმე სწავლის მიზნით აგზავნით მუშებს, რუსეთის მაგიერ ევროპაში გააგზავნიდითო. „ერთობამ" მშვი- [illegible] ლეგაცია, იცის რომ, როგორც ყოველთვის, ნაციონალისტები ცოტა უფრო სხარტულათ და აშკარათ გამოსთქვამენ იმას, რასაც მენშევიკები ბოლოს და ბოლოს გააკეთებენ, მარა მაინც გაკვირვებულ თვალებს აკეთებს, და ბოლოს მაინც უბოლშევიკოთ ვერ სძლებს:

„დელეგაციის გაგზავნა რუსეთში უფრო საჩქაროა და უფრო დაუყონებლივი. თუმცა საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის ხელშეკრულებაა დადებული, მაგრამ ადგილობრივი კომუნისტების წყალობით ამ ორ სახელმწიფოს ურთიერთობა არ არის იმდენათ მოწესრიგებული, რომ მომავლისათვის სიფრთხილე არ გვმართებდეს. საჭიროა პირდაპირი, უშუალო მჭიდრო კავშირი არსებობდეს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის დემოკრატიას შორის, რომ ადგილობრივი კომუნისტების ვერავითარმა ინტრიგებმა და ვერავითარმა შარებმა ვერ შესძლოს ამ ორ სახელმწიფოს შორის მიღწეული თანხმობის დარღვევა".

რაკი ასე ხერხიანათ გამოატყვრინა „ერთობამ" ყველაფერში და ყოველთვის დამნაშავე ბალშევიკები და ისიც „ადგილობრივი" ბალშევიკები, მისი და „კლდის" კამათიც ორივე მხრისთვის სასიამოთ დასრულებულათ უნდა ჩაითვალოს, თუმცა „კლდე" ალბათ ერთხელ კიდევ მაინც გამოეხმაურება „ერთობას".

* *

ახლა „სახალხო გაზეთიც" მიხვედრილია, რომ პანების და ბურჟუების პოლონეთის ყაჩაღური თავდასხმა რუსეთის მუშებზე და გლეხებზე გათავდა თავდამსხმელ პოლონეთის სრული დამარცხებით. გულშემატკივარი ფედერალისტები ამ მოვლენას „პოლონეთის ტრაგედიათ" თვლიან:

„პოლონეთ-რუსეთის ფრონტზე ფრიად ყურადსაღები ამბები ჰხდება. დამოუკიდებელ პოლონეთს დიდი განსაცდელი მოელის და უკვე საეჭვო გახდარა—შესძლებს იგი თავისუფლების შენარჩუნებას, თუ კვლავ გახდება საგანი ვაჭრობისა და გაყოფისა მეზობელ სახელმწიფოთა შორის, როგორც ეს 1772 წ. მოხდა".

აი ამას ქვია თითით ზეცაში მოხვედრა: თუ ევროპის იმპერიალისტების სისხლიანი დამქაშობა არ გაუვიდათ პოლონეთის გამგებელ მემამულეებს და კაპიტალისტებს და სოციალისტური რუსეთის წითელმა ჯარმა ისინი გაანადგურა, ეს თურმე მომასწავებელი ყოფილა პოლონეთის ნამდვილი პატრონის, მუშების და გლეხების დამონების და ხურდა ფულათ გადაქცევის მეზობელ სახელმწიფოების სადალალოთ. პირველათ პოლონეთი ხდება ნამდვილათ დამოუკიდებელი, და „სახალხო გაზეთი„ კი არაკის ერთი გმირივით სწორედ ეხლა გაიძახის „სულთათანას". ბრესტ-ლიტოვსკში უკვე შედგა თითქმის განთავისუფლებული პოლონეთის რევოლიუციონური მთავრობა, რომელიც რამოდენიმე დღეში შევა სატახტო ქალაქში და დაეპატრონება მუშურ-გლეხურს პოლონეთს, და ჩვენებური ფედერალისტები კი სწორედ ახლა მოსთქვამენ იმაზე, რომ პოლონეთის იმპერიალისტურმა ჯარმა ვერ გაუძლო რევოლიუციონურ ჯარის შემოტევას და განადგურდა:

„პოლონეთი მარცხდება იმიტომ, რომ მან რუსეთის გაერთიანებულ ნაციონალურ ფრონტს ვერ დაუპირდაპირა საკუთარი დემოკრატიული და ეროვნული ფრონტი. ვერ დაუპირდაპირა, ვინაიდან იქ ასეთი გაერთიანება არ ყოფილა. . . . . . . . . . . . . . . და თუ საერთოდ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ რევოლიუციონურ ლოზუნგით მიმავალ საბჭოთა ჯარს წინ ხვდებოდა იდეიურათ შეუკავშირებელი, არა წმინდა დემოკრატიული სახელმწიფოს მხედრობა, ჩვენთვის ერთის მხრით გასაგები იქნება თუ რატომ მარცხდება პოლონეთი".

რევოლიუციონურ ლოზუნგით მომავალ საბჭოთა ჯარს ვერ გაუძლო ვერც კერენსკის, დენიკინის, კოლჩაკის და სხვ., და ვერც ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და სხ.. „არა წმინდა დემოკრატიულმა" მხედრობამ. ნუ თუ ცხადი არ არის, რომ არსად არ ყოფილა წმინდა დემოკრატიული, ნამდვილ მუშურ-გლეხური ჯარი, გარეშე რევოლიუციისა. და თუ ასეა, რომელი პოლონ[illegible]ციის დასტირის ჩვენებური სოციალ-ფედერალისტური ბანაკი? პანების და პილსუდსკების პოლონეთს რასაკვირველია.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### „მე—მე არ ვარ".

ძნელათ თუ ვისმეს იჭვები დაებადება იმაში, რომ ინგლისის მთავრობა არის მოტყუილებისა და სიყალბის მთავრობა.

მაგრამ ეხლა ინგლისის მთავრობას არც ის შეუძლია, რომ ვისმეს შეედაროს თავისი „მაღალი ღირსების გაიძვერობაში", რადგან თვითვე გამოამჟღავნა ნაკლები ღირსების ქვემძრომობა. ინგლისის მთავრობამ ერთი თავისი წვრილ-ფეხა მოხელის ხელმოწერილი დოკუმენტი გვიძღვნა. ამ დოკუმენტით ინგლისის მთავრობა გვარწმუნებს ჩვენ, რომ კონსტანტინეპოლიდან არავითარი სამხედრო იარაღი და მასალები არ იგზავნება გერენალ ვრანგელის არმიისათვის. ამიტომ მისი შეპირება, რომ ის არ დაეხმარება ყირიმის თეთრ-გვარდიელთა არმიას, სისწორით ასრულდება.

ინგლისის დიპლომატები მორცხვად მალავენ ერთ რაიმეს: რომ თუმცალა „ბრიტანიის დახმარება" ვრანგელისადმი შესწყდა კონსტანტინეპოლიდან, მაგრამ ეს დახმარება გრძელდება ბათუმიდან! (მაშინ ბათუმი არ იყო საქართველოზე გადაცემული. შენიშვნა მთარგ.

მრავალრიცხოვანი ფაქტები აცნობებს ამის შესახებ საგარეო საქმეთა კომისარს, ამხ. ლიტვინოვს. ბათუმის საწყობებიდან ინგლისის გემებით გაიგზავნა ყირიმში დამხმარე ჯარი, სამხედრო მასალა და სურსათიო.

ინგლისის მთავრობას სურდა კვალი აებნია: ისინი მიგვითითებდენ კონსტანტინეპოლზე და გაცხარებით მუშაობდენ ბათუმში. თუმცა ერთი ხელით შეუწყვიტეს ვრანგელს დახმარება, მაგრამ კალთის ქვეშიდან ეხმარებოდენ მეორე ხელით.

ამ სიყალბეში ინგლისის მთავრობა [illegible] ფაქტებით ხელში და ეხლა ლლოიდ-ჯორჯი, ეს „პატიოსანი კეთილშობილი" ბრიტანიის „ჯენტლმენი" წარსდგა ქვეყნის წინაშე, როგორც დანაშაულში გამოტეხილი საცოდავი მატყუარა და ცრუპენტელა! „მე—მე არ ვარ და ეს ცხენი ჩემი არ არისო", ფიცავს ინგ-

ნ. ლენინი

## „მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში

(გაგრძელება. იხ. „ახალი კომუნის." № 8.)

1918 წ. საქმე რასკოლამდე არ მისულა. „მემარცხენე" კომუნისტებმა მაშინ მხოლოდ განსაკუთრებული ჯგუფი თუ „ფრაქცია" შექმნეს ჩვენი პარტიის შიგნით და ისიც მოკლე ხნით. იმავე 1918 წ. „მემარცხენე კომუნისტის" გამოჩენილ წარმომადგენლებმა, ამხ. რადეკმა და ბუხარინმა აშკარათ აღიარეს თავიანთი შეცდომა. მათ ეგონათ რომ ბრესტის ზავი პრინციპიალურათ დაუშვებელი იყო და საზიანო კომპრომისი რევოლიუციონურ პროლეტარიატის პარტიის მხრით იმპერიალისტებთან. ეს მართლაც კომპრომისი იყო იმპერიალისტებთან, მარა ისეთ გარეშე პირობებში დაშვებული, რომ ის სავალდებულო იყო.

ამ ჟამათ, როცა მე მესმის უარყოფა ჩვენი ტაქტიკის ბრესტის ზავზე ხელმოწერის დროს, მაგალითად „სოციალისტ-რევოლიუციონერების" მხრით, ან და როცა მე მესმის შენიშვნა ამხანაგ ლანსბერის, რომელიც მან ჩემთან საუბრის დროს გააკეთა: „ჩვენი ინგლისის ტრედ-იუნიონების წინამძღოლები ამბობენ ხოლმე, რომ კომპრომისები დასაშვებია მათთვისაც, თუ კი ისინი დასაშვები იყო ბალშევიზმისათვისო", მე ჩვეულებრივ ვუპასუხებ ამაზე პირველ ყოვლისა ასეთი მარტივი და „პოპულიარული" შედარებით:

წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ავტომობილი გააჩერეს შეიარაღებულ ბანდიტებმა, თქვენ აძლევთ მათ ფულს, პასპორტს, რევოლვერს, ავტომობილს, და ამით ითავისუფლებთ თავს ბანდიტების არასანატრელ მეზობლობისგან. უეჭველია, აქ კომპრომისია დაშვებული. Do ut des (გაძლევ ფულს, იარაღს, ავტომობილს, „ოღონდ კი შენ მომცე" მე (შესაძლებლობა მოგშორდე მშვიდობით და ჩემს გზას გაუდგე). მარა ძნელია ისეთი ადამიანის მონახვა, რომელიც შეშლილი არ იყოს, და ასეთი კომპრომისი „პრინციპიალურათ დაუშვებლათ" „გამოაცხადოს, ან და ის პირი, რომელმაც ასეთი კომპრომისი დაუშვა, ბანდიტების მოზიარეთ დასახოს (თუმც რომ ბანდიტებს გამოეყენებიოთ მისი ავტომობილიც და იარაღიც ახალ ყაჩაღობისთვის). ჩვენი კომპრომისი გერმანიის იმპერიალიზმის ბანდიტებთან სწორეთ კომპრომისს გავდა.

ხოლო როცა მენშევიკები და ეს-ერები რუსეთში, შეიდემანელები (და უმეტეს წილათ კაუცკიანელებიც) გერმანიაში, ოტტო ბაუერი და ფრ. ადლერი (ბ.ბ. რენნერებზე და მათ კამპანიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) ავსტრიაში, რენოდელი და ლონგე კამპანიითურთ საფრანგეთში, ფაბიანელები, „დამოუკიდებელნი") ინგლისში 1914—1918 და 1918—1920 წლებში კომპრომისებით ეკროდენ საკუთარი, ხანკი „მოკავშირე" ბურჟუაზიის ბანდიტებს წინააღმდეგ საკუთარი ქვეყნის რევოლიუციონური პროლეტარიატისა, აი მაშინ ყველა ეს ვაჟბატონები იქცეოდენ, როგორც ბანდიტიზმის თანაზიარნი.

დასკვნა ნათელია: „პრინციპიალურათ" კომპრომისების უარყოფა, უარყოფა საერთოთ ყოველგვარი კომპრომისის დაშვების ეს ბავშობაა, რომლის სერიოზული გარჩევა ყოვლად შეუძლებელია. პოლიტიკოსი, რომელსაც სურს სარგებლობა მოუტანოს პროლეტარიატს, ვალდებულია იცოდეს გამოყოფა კონკრეტიული შემთხვევების სწორედ ისეთი კომპრომისებისა' რომლებიც დაუშვებელია. რომელშიაც იხატება ოპორტუნიზმი და გამცემლობა, და კრიტიკის მთელი ძლიერების დაუზოგველათ ნიღაბის ჩამოგლეჯის და შეურიგებელი ომის მიმართვა სწორედ ასეთი კონკრეტიული კომპრომისების წინააღმდეგ, და ამასთანავე არ დაანებოს ფრიად გამოცდილ „მოქახრაკე" სოციალისტებს და საპარლამენტო იეზუიტებს გაძვრენ-გამოძვრენ და პასუხის მგებლობისაგან თავის დახწევა „საზოგადოთ კომპრომისებზე" მასლაათით. ინგლისის ტრედ-იუნიონების აგრეთვე ფაბიანელთა საზოგადოების და „დამოუკიდებელ" მუშათა პარტიის ვაჟბატონი „ბელადები" სწორეთ ასე იძვრენენ თავს პასუხისმგებლობისგან იმ მათ მიერ ჩადენილ გამცემლობისა და მათ მიერ დაშვებულ ისეთ კომპრომისში, რომელიც ნამდვილათ მომასწავებელია უარესთაგან უარესი ოპორტუნიზმის, მოღალატობის და გამცემლობის.

კომპრომისიც არის და კომპრომისიც: უნდა ვიცოდეთ ანალიზის გაკეთება გარემო პირობების და კონკრეტიული პირობების თითეულ კომპრომისის მაგვარ მოქმედებისა, უნდა ვისწავლოთ განსხვავების გატარება იმ ადამიანსა, რომელმაც ბანდიტებს ფული და იარაღი მისცა, რათა შეემცირებია ბანდიტებისგან გამომავალი ბოროტება და გაადვილებია მათი დაჭერა და დახვრეტა, იმ ადამიანისაგან, რომელიც აძლევს ბანდიტებს ფულს და იარაღს ბანდიტების ნადავლიდან წილის მისაღებად. პოლიტიკაში ასეთი განსხვავების გატარება ყოველთვის არაა ისე ადვილი, როგორც ამ სადა-საბავშო მაგალითში. მარა უბრალო შარლატანი და და სხვა. არაფერი იქნებოდა ის, ვინც მოინდომებდა ისეთი რეცეპტის გამოგონებას მუშებისათვის, რომელიც წინდაწინვე იძლეოდეს მზამზარეულ გადაწყვეტილებებს ცხოვრების ყველა შემთხვევებისათვის, ან რომელიც დაპირებას იძლეოდეს, რომ რევოლიუციონურ პროლეტარიატის პოლიტიკაში არ იქნება არავითარი სიძნელენი და არავითარი დახლართული მდგომარეობანი.

რომ არავითარ გაუგებრობას აღარ ექნეს ადგილი, შევეცდები სულ მოკლეთ აღნიშვნას რამოდენიმე ძირითად დებულებებისას კონკრეტიული კომპრომისების ანალიზისთვის.

პარტია, რომელმაც გერმანიის იმპერიალიზმთან კომპრომისი დაუშვა ბრესტის ზავზე ხელის მოწერით, თავის ინტერნაციონალიზმს იმუშავებდა საქმით. ნამდვილათ 1914 წლის დასასრულიდან მას არ ეშინოდა მეფის მონარქიის დამარცხების აშკარათ ქადაგების, ის სამარცხვინო დაღს ასვამდა „სამშობლოს დაცვას" ორ იმპერიალისტურ მტაცებლის შუა ომის დროს:

ამ პარტიის დეპუტატ-პარლამენტარიები ციმბირში მიმავალ გზას გაყვენ, ნაცვლათ იმ გზისა რომელსაც მიყავს ბურჟუაზიული მთავრობის მინისტრის პორთფელისაკენ. რევოლიუციამ, რომელმაც ცარიზმი დაამხო და შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, მოგვცა ახალი და უდიდესი გამოცდა ამ პარტიის: ამ უკანასკნელმა არავითარ შეთანხმებაზე არ წავიდა „საკუთარ" იმპერიალისტებთან, არამედ მოამზადა მათი ძირს ჩამოგდება და კიდეც ჩამოაგდო. როცა პოლიტიკური ძალა-უფლება აიღო თავის ხელში, ამ პარტიამ ქვა ქვაზე დაც აღარ დასტოვა არც მემამულეთა და არც კაპიტალისტურ საკუთრებაში. ამ პარტიამ გამოაქვეყნა და გაუქმებულათ გამოაცხადა იმპერიალისტთა ფარული ხელშეკრულებანი, ზავის წინადადებით მიმართა ყველა ხალხებს და მხოლოდ მას მერე დაემორჩილა ბრესტის მტაცებლების ძალადობას, როცა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებმა ჩაფუშეს ზავი, და როცა ბალშევიკების მიერ ყოველივე, რაც კი ადამიანისათვის შესაძლოა, მოიმოქმედეს გერმანიაში და სხვა ქვეყნებში რევოლიუციის დასაჩქარებლათ. სრული სისწორე იმ კომპრომისის, რომელიც ამ პარტიამ დაუშვა ასეთ გარეშე პირობებში, დღე დღეზე სულ უფრო ნათელი და აშკარა ხდება ყველასათვის.

მენშევიკებმა და ესერებმა რუსეთში (მსგავსათ მეორე ინტერნაციონალის ყველა ბელადებისა ყველა ქვეყნებში 1914—1920 წ.წ.) გამცემლობით დაიწყეს, ამართლებდენ რა პირდაპირ ან არაპირდაპირ „სამშობლოს დაცვას", ე. ი. საკუთარ მცარცველ ბურჟუაზიის დაცვას. მათ განაგრძეს გამცემლობა მით, რომ შევიდენ კოალიციაში თავისი ქვეყნის ბურჟუაზიასთან და იბრძოდენ თავის ბურჟუაზიასთან ერთად წინააღმდეგ საკუთარი ქვეყნის რევოლიუციონური პროლეტარიატისა. მათი ბლოკი ჯერ კერენსკისთან და კადეტებთან, შემდეგ კი კოლჩაკ-დენიკინთან, მზგავსათ მათი საზღვარგარეთელ ერთმოაზროვნების ბლოკისა მათი ქვეყნების ბურჟუაზიასთან, ნიშნავდა ბურჟუაზიის მხირეზე გადასვლას პროლეტარიატის წინააღმდეგ. მათი კომპრომისი იმპერიალიზმის ბანდიტებთან თავიდან ბოლომდე ნიშნავდა იმას, რომ მათ თავისი თავი გაიხადეს იმპერიალისტური ბანდიტიზმის თანაზიარათ.

(შემდეგი იქნება)

ლისის ბურჟუაზია, როდესაც მის დახმარებით წელ-გამაგრებული ვრანგელი ფიქრობს ჩიაღწიოს დონის ველებს.

ცხადია ჩერჩილის და ლორდ კერზონის (ლლოიდ ჯორჯის ამხანაგები სამინისტრო კაბინეთში) მიზანია რათაც არ უნდა დაჯდეს შეუნარჩუნონ ვრანგელს ყირიმი. ე. ი. მთელი შავი ზღვის რაიონი დარჩეს ინგლისის ფლოტის განკარგულებაში. ცხადია, ინგლისს აქ ერთი მიზანი ამოქმედებს.

სომხეთიდან თეთრგვარდიელთა თავდასხმის შიშით აიძულოს საბჭოთა რუსეთი, აასრულოს ანტანტის ყველა მოთხოვნები.

ისიც ცხადია, რომ პატარა „ოჯახური სცენა" (უკმაყოფილება) ლოიდ-ჯორჯსა და ვრანგელს შორის იმიტომ მოხდა, რომ ჯორჯი ვრანგელის გამოსვლას სთვლიდა „დროს შეუფერებლად, და სცდილობდა მის გადადებას უფრო შესაფერ დროისთვის (მაგრამ რადგან საქმე დაიწყო ვრანგელმა, არ დახმარება აღარ შეიძლებოდა.

რუსეთის მუშები და გლეხები გაიცინებენ რომ დაინახვენ ლონდონის „მშვიდობიანობის მოყვარეთა" ასეთი სიყალბეს. გაეცინებათ, როდესაც დაინახავენ" თუ როგორ გაეხლართა თავის მატყუარობაში ინგლისის „დიდებული" და ძლევამოსილი სახელმწიფო.

მილიონ მშრომელთა სახელით ჩვენ ვეუბნებით ბანკირ—მტაცებლებს და ანტანტის გაიძვერა მინისტრებს: „მხოლოდ გროშათ ღირს თქვენი მშვიდობიანობის მოყვარეობა. გროშათ ვაფასებთ თქვენ განცხადებებს, ვითომც თქვენ არ ეხმარებოდეთ პოლონეთის და ყირიმის თეთრგვარდიელებს. თქვენ იყავით და დარჩებით მათ მოკავშირეთ.

მასთან ერთად გროშათ ვაფასებთ თქვენს" „დიდებას" და „ძალას."

რამდენიც არ უნდა დაეხმაროთ და მოგვისიოთ ჩვენ თეთრგვარდიელები, ჩვენ მაინც დავამარცხებთ მათ. და თუ თქვენ კერზონის შუამავლობით შეეცდებით მათ გადარჩენას, ჩვენ არ მივაქცევთ ყურადღებას თქვენს ყვირილს და შუამავლობას და განვაგრძობთ ჩვენს საქმეს:

თქვენ გინდათ ბარონის ყირიმში და შლიახტის პოლონეთში გქონდეთ დასაყრდნობი ძალა, რომ აწარმოვოთ თქვენი მტაცებლური და მოტყუების პოლიტიკა.

მაგრამ ჩვენ გავანადგურებთ შლიახტას და ბარონებს და მასთან ერთად გავანადგურებთ თქვენს ორპიროვნულ და გაიძვერულ პოლიტიკას.

ამოიჭერით, ბატონებო, ეს თქვენს ჯენტლმელურ ცხვირზე.

(„პრავდა" № 154, 15 ივლისი 1920 წ.)

## ტყვე—ამხანაგებს

განწირულებო! სიკვდილის აჩრდილს
დღეს თვალ-ხილული შეხვდებით ყველა
დასცლით სიცოცხლის წუთებს და დღეებს
დრო გამოშვებით, ხანდასმით, ნელა...

მოკვდებით! მაგრამ, ე, მაგ სიკვდილით,
თქვენ ძეგლს დაიდგამთ ხალხისა გულში,—
მე კი, მარად ჟამს მოხეტიალემ
უნდა ცრემლები ვღვარო მამულში!

**ი. ხონელი.**

## სიმღერა მარგალიტის მაძიებელთა.

ზღვის ზვირთებს ვებრძვით: სიღრმისკენ ვიწევთ,
რომ იქ დავძებნოთ მარგალიტები,
ამაში გვშველის ჩვენ „წინაპართა"
ბრძოლის და ძებნის მაგალითები!

აბა, მხნეთ ზვირთებს მხარი და მკერდი!
გავაპოთ ეგა! გავკვეთოთ იგი!
თვით ბრძოლის აზრი იწვევს ჩვენს წინსვლას
და შეჯიბრებით რიგს მისდევს რიგი...

ახ, რისთვის მინდა, რომ ყველაზე წინ
მე გამიტაცოს საკუთარ სრბოლამ,
მცურავთა შორის ხმა შორს გამიგდოს
ზღვასთან სიმედგრემ, ზვირთებთან ბრძოლამ!..

რაა სახელი, ანუ დიდება!
დე ზღვის ზვირთებმა ყველა დაჰქაფოს
ოღონდ პირველმა მარგალიტმა კი
პირველ ჩემ თვალწინ გაიკიაფოს!...

მაშ, მხნეთ მაგ ზვირთებს მხარი და მკლავი:
გავაპოთ ეგა! გავკვეთოთ იგი!
აი რა აზრი იწვევს ჩვენს წინსვლას
და ჯიბრით წინა რიგს მისდევს რიგი!

**ნ. ზომლეთელი.**

## მიმართულებათა ბრძოლა კომუნისტურ ინტერნაციონალში.

კომუნისტური ინტერნაციონალი იჭედება პროლეტარიატის სხვა და სხვა ნაწილის ბრძოლაში, იჭედება თანდათან, ამის და მიხედვით, რაც რომ კაპიტალიზმის დაშლა-დანგრევის პროცესი დღითი დღე პროლეტარიატის სულ ახალსა და ახალ ნაწილებს ერეკება რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე. გეოგრაფიულათ თუ ავიღებთ, კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი ქვეყანა რუსეთია, რასაც თავისი ისტორიული მიზეზიც აქვს, სახელდობრ ის, რომ რუსეთში პროლეტარიატი ეკონომიურად უფრო დაბლა იდგა, ვინემ სხვა ქვეყნებში, ის უფრო მეტად იყვლეფებოდა და უფრო ნაკლები იყო უზრუნველყოფილი. ფაქტია, რომ იტალიაში პროლეტარიატი არ დადგა ბურჟუაზიული თავდაცვის ნიადაგზე: და ეს ფაქტი ჯერ კიდევ ომის დროს სავსებით სწორად ახსნა რეფორმისტ ბენონიმ იმითი, რომ, მსგავსათ რუსეთის პროლეტარიატისა, იტალიის პროლეტარიატიც 10-ჯერ უფრო ცუდათ სცხოვრობს, ვინემ მუშები ანტანტისა, ინგლისისა და ამერიკის: კაპიტალიზმს არ მოუსყიდია ის თავისი სუფრის ნაფინჩხებით. იტალია აღმოჩნდა პირველი ქვეყანა, რომელშიაც პროლეტარიატის მასსიური პარტია მთელათ მესამე ინტერნაციონალის ნიადაგზე გადავიდა.

და მსგავსად იმისა, რომ ის ქვეყნები, სადაც პროლეტარიატი გარდამეტებით იჩაგვრება და იყვლიფება, ხდება კომუნიზმის მთავარ კერად,—მსგავსად ამისა. ყველა ქვეყნებში პროლეტარიატის სწორედ ქვედა ფენები, შავი მუშები, მომეტებულათ ეკედლებიან კომუნისტურ მოძრაობას. ეს ნაწილები ბევრ ქვეყნებში ომამდე თითქმის სულ არ იღებდენ მონაწილეობას კლასიურ ბრძოლაში, ან კიდევ სრულის ულონობის გრძნობით (სცდილობდენ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას კაპიტალისტების წინაშე მონურ მორჩილებით, მათი ხელების ლოკვით, ადგენდენ რა მუშათა ყვითელ ორგანიზაციებს. ეხლა, როცა ისინი გამოაღვიძა ძილისაგან მსოფლიო ომის გრგვინვამ, და გადმონგრეული ტახტების ხრიალმა, პროლეტარიატის ეს მასსები ფხიზლდებიან, ეკედლებიან მოძრაობას და მოკლებულნი ყოველგვარ პოლიტიკურ გამოცდილებას, გატაცებულნი სურვილით, რაც შეიძლება სასწრაფოდ დაახწიონ თავი კაპიტალიზმის უღელს, წარმოადგენენ სრულიად მოუთმენელს, თავშეუკავებლად წინ მსრბოლ ნაწილს კომუნისტური მოძრაობისას. მათ აღარ ძალუძთ მეტი დაყოვნება, სცდილობენ პირდაპირ საქმეზე გადავიდენ—ეკვეთონ კაპიტალიზმს დასანგრევად, უკან არ იხედებიან, არას დაგიდევენ მოუსწრებენ მათ მუშათა კლასის დანარჩენი ნაწილები თუ ვერა. ომებში მათ შენიშნეს, თუ რა ძალა აქვს იარაღს და ფიქრობენ, რომ საკმარისია ხელში ჩაიგდონ ერთი ორი ათეული ტყვიისმფრქვევი, დაიკავონ რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულება, და ძალაუფლებაც მათ ხელში იქნება. მათ ეკედლებიან გაპროლეტარებული წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები. ინტელიგენცია, პატრიოტულად რომ იყო განწყობილი ომის დასაწყისში, ხოლო ეხლა ულრმესად გულგატეხილი და იმედ გაცრუებული, დამახასიათებელი მისებური მეტაფიზიკით, ეხება კომუნისტური მოძრაობის კითხვებს და იბსენის წვრილ ბურჟუაზიულ გმირთან ერთიდ ამაყად აცხადებს: „ყველაფერი ან არაფერი"-ს. მაგრამ, იმავ დროს, როცა მუშათა ქვემო ფენები აფეთქებისა და აჯანყებისკენ იხრებიან, ეს ინტელიგენცია კმაყოფილდება თავისი შეურიგებლობით, რაიც იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელს იღებს წვრიმალ საბრძოლველ იარაღების გამოყენებაზე, როგორიც არის მაგ. პარლამენტარიზმი, გვერდს უვლის მძიმესა, მაგრამ აუცილებლად საჭირო მუშაობის პროფესიონალურ კავშირებში მასსების მოსამხრობად თავისკენ, და საკუთარ რადიკალიზმს ხატავს უკანასკნელი დღის მოლოდინში,—უკანასკნელი დღის, როცა უნდა დაინგრენ კაპიტალიზმის სიმაგრეები, და ამ მოლოდინის დროს ის ცოტათ თუ ბევრათ ავსებს წარმოდგენებით უკანასკნელი დღის სამსჯავროს შესახებ.

ამ „მემარცხენე კომუნისტურ" მისწრაფებებს ემატება წმინდა პრუდონისტული ტენდენციები, რომლის ძალით ფიქრობენ, რომ სამი წლის გრანდიოზული ბრძოლა რუსეთის პროლეტარიატისა ძალა-უფლებისათვის და შემდეგ ამ მოპოვებულ მუშურ ძალა-უფლების შესანარჩუნებლად გამოცხადებულია ხუთი ათასი პარაგრაფისგან შემდგარი „რაღაც საბჭოთა სისტემა", და ამ სისტემის მქადაგებელნი ვითომ სრულის სიმშვიდით, კაპიტალისტურ დიქტატურასთან შესაბრძოლებლათ მზადებისათვის სრულიად თითის გაუქნევლად მოჰყვენ ქალაქების საბჭოთა წყობილების შესახებ, და ამავე დროს ოპორტიუნიზმათ აცხადებენ ყოველგვარ ბრძოლას პროლეტარიატის მასსიური მოძრაობის პოზიციების დასაჭერად მიმართულს—ისეთი პოზიციების, რომლებიც წარმოადგენენ ეტაპებს (საფეხურებს) კაპიტალიზმის გზაზე.

მთავარი ომი აი ასეთ ტენდენციებს გერმანიაში გაუმართა გერმანიის ნორჩმა კომუნისტურმა პარტიამ (გ. კ. პ.), როცა ის, შემდეგ პირველი დამარცხებისა, 1919 წლის იანვრის დღეებში რომ განიცადა, იძულებული შეიქნა გამოერკვია თავისთვის, თუ რა სურდა მას უზრუნველად და მშვიდათ ეცქირა—როგორ ანადგურებდენ მას ნაწილ-ნაწილად იმ დაქსაქსულ აფეთქებების გამო, რომელთაც მისი ნაწილები აქა იქ აწყობდენ, თუ უნდა ცდილიყო—შეექმნა ძლიერი მთლიანი კომუნისტური პარტია, რომელიც ჩაერეოდა პოლიტიკურსა და ეკონომიური ცხოვრების ყველა ამბებში, თავგამოდებით იბრძოლებდა მუშათა მასიური ორგანიზაციების დასაპყრობათ, ხოლო უპირველესად პროფესიონალურ ორგანიზაციების,—ჩაერეოდა წარმოებაზე კანტროლის დაწესებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების მოსაწყობათ, და ამ რიგად შეეცდებოდა დასაყრდნობ პუნქტების მოპოვების და ხელში ძალაუფლების ჩასაგდებათ ბრძოლის გაჩაღების მიზნით.

გერმანიის კომუნისტურ პარტიას ბრძოლა ჰქონდა ყველა ჯურის ეგრედ წოდებულ „მემარცხნე კომუნიზმთან:" აჯანყების მოტრფიალე ბერლინელ ორგანიზაციასთან (რომელსაც მეთაურობდენ შრედერი, იუნგი ვენდელი), პრუდონიზმთან, რომლის მეთაურნი იყვენ ლაუფენბერგი; ვოლხეიმი, და მემარცხნე დამოუკიდებელნი დაიმინგი და მილლერი, და ამასთან ერთად ეს ბრძოლა რთულდებოდა კიდევ ახალი ელემენტებით, რომლებიც სრულიად უცხო იყო სხვა ქვეყნების კომუნისტური მოძრაობისათვის, ეგრედ წოდებული "ნაციონალური ბალშევიზმით", რომლის შესახებ კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი სხვა დროს. მას შემდეგ, რაც რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა ცენტრებმა გამოირკვიეს თავისთვის ამ პარტიის პოზიციები, როცა პარტიამ ნათლად შეიგნო, რომ, რადგან აღარ ჰქონდა ცხოვრებაში ადგილი უშუალო რევოლიუციონურ სიტუაციას, მას უნდა მიეღო მონაწილეობა პარლამენტარულ არჩევნებში პარლამენტის ტრიბუნის გამოსაყენებლად რევოლიუციონური აგიტაციისა და ორგანიზაციების მოწყობის მიზნით, მას შემდეგ, რაც რომ გერმანიის კომუნიზმის ხელმძღვანელმა წრეებმა გადასწყვიტეს დაბოლოს შებრძოლებოდენ პროფესიონალური კავშირიდან გამოსვლის ლოზუნგს. მიუხედავათ პროფესიონალური მოძრაობის ბელადთა კონტრ-რევოლიუციონურ ტენდეციებისა, მას შემდეგ, რაც რომ გერმანიის კომუნიზმის ხელმძღვანელმა წრეებმა გადასწყვიტეს გაეჩაღებიათ ბრძოლა პროფესიონალური კავშირების დასაპყრობად, ჰაიდალბერგის ყრილობამ პარტიისამ წარსული წლის ოქტომბერში მიიღო პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც, მიუხედავათ იმისა, რომ მისი თერრეტიული ფორმულიროვკა ცოტათი მოიკოჭლებს, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს კომუნიზმის პირველს, დამმოუკიდებელ ცდას—გაითვალისწინოს გზა პროლეტარიატის დიქტატურისაკენ იმ სპეციალურ პირობებში, რომელშიაც კომუნიზმი ჩაყენებულია დასავლეთ ევროპაში, სადაც ის სავსებით განცალკევებულია, სადაც ომი დასრულებულია და ამიტომ არავითარი იმედი არ არის წვრილი ბურჟუაზიის მხრით რაიმე დახმარებისა კაპიტალისტების და მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ხელმძღვანელი წრეები გერმანიის კომუნისტ. პარტიის წარმომადგენლებთან ერთად ამის შემდეგ შეეცადენ გერმანიის რევოლიუციისაგან მიღებულ გამოცდილებათა განსაზოგადოებას ანტანტის ქვეყნების განსხვავებულ პირობებისადმი ანგარიშის გაწევით და მიმდინარე წლის იანვარში გამოიმუშავეს ტეზისები დასავლეთში კომუნისტების ძალა-უფლებისათვის ბრძოლის ტაქტიკაზე, რომლებშიაც მათ სასტიკი ომი გაუმართეს კომუნისტური ტაქტიკის ყველა საკითხებში იგრედ წოდებულ „მემარცხენე კომუნიზმს"; მაგრამ ამისთანავე სასტიკად და მახვილათ გაავლეს ზღვარი კომუნისტურ ინტერნაციონალსა და იმ ელემენტებს შორის, რომლებიც სიტყვით ინტერნაციონალს ეტმასნებიან, ხოლო საქმით წინ ეღობებიან მუშების რევოლიუციონურ საქმიანობას.

**კ. რადეკი.**

„პრავდა" № 131. 18 ივნ. 1920 წ.

(გაგრძელება იქნება)

# უკანასკნელი ცნობები

## სამხედრო-ოპერატიული რადიოცნობა.

**მოსკოვი**, 4 აგვ. **ბელასტოკის** და **ბელსკის** სამხრეთით ჩვენი შეტევა სწარმოებს.

**სედლეცის მიმართულებით** ჩვენი ჯარები 100 ვერსის მანძილზე დასავლეთის ბუგის ხაზზე გამოვიდენ და დიდი ბრძოლის შემდეგ მდინარეზე გავიდენ და თან ტყვეებიც წამოიყვანეს. სწარმოებს დიდი ბრძოლა, რომელიც ჩვენი გამარჯვებით თავდება.

დნესტრზე სიწყნარეა.

**ადესის რაიონი.** ადესის ნავთ-სადგურში მოელიან გემს 7 ათასი სამხედრო ტყვეებით, 4 ფრანგული ტრანსპორტით, ერთი ნაღმოსანი შეუდგა დაცლას.

**ყირიმის რაიონში** არეხოვის რაიონში ჩვენი ჯარები მტრის იერიშებს უმკლავდებიან და აჩერებენ.

# ინტერნაციონალის გარშემო.

### მე 3 ინტერნაციონალის კონგრესი.

დიდებულ მასწავლებლის კარლ მარქსის ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით", რომელიც ოქროს ასოებით იყო ამოჭრილი პროლეტარიატის დროშაზე, უკვე ხორცს ისხამს.

მე 3 ინტერნაციონალის კონგრესში გაერთიანდა მსოფლიო პროლეტარიატის ყველა საუკეთესო ძალები. მარქსის მიერ დაარსებული 1 ინტერნაციონალი დაირღვა. რევოლიუციონური მოძრაობა ჩაკლულ იქნა მუშათა კლასის ძლიერი მტრების ხელით. მუშათა სისხლში ჩაალრჩვეს 1871 წლის პარისის კომუნა.

1 ინტერნაციონალი დაიშალა 1878 წელს. იმპერიალიზმმა შემდეგ გაანადგურა პირველი მუშათა კავშირი, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია საფრანგეთის ამხანავებს ძალა უფლების შენარჩუნებისათვის.

ამ დროის განმავლობაში ძლიერ გაღრმავდა კლასთა ბრძოლა და უფრო მეტათ კი რუსეთის სოციალისტურ რევოლიუციის ხანაში.

ორი წელიწად ნახევრის განმავლობაში საბჭოთა მთავრობა განსაცვიფრებელი სიმხნევით იგერიებს ყველა მტრებს და კოლოსალურ შედეგებს მიაღწია სოციალისტურ აღმშენებლობისათვის ბრძოლაში.

მე 3 ინტერნაციონალმა შემოიკრიბა თავის გარშემო დაუძლეველი არმია, რომელიც ნებას არ მისცემს მუშების და გლეხების მტრებს თავისი ბინძურე ხელი შეახოს მთელ ქვეყანაზე პირველ სოციალისტურ ქვეყანას. მე 3 ინტერნაციონალი ეს მსოფლიო მაშტაბით კლასთა ბრძოლის სამხედრო გენერალური შტაბია.

ამ შტაბის პირველი სამხედრო ბრძანება, რომ შეებრძოლონ ყველა ქვეყნის მუშებმა პოლონელ შლიახტის მისწრაფებებს, რომელსაც სურს სისხლში ჩაალრჩონ საბჭოთა რუსეთი; ამ მოწოდებას ერთხმათ გამოეხმაურება ძთელი ქვეყნის პროლეტარიატი და ძმურ დახმარებას აღმოუჩენს თავის რუსეთელ ამხანაგებს, რომლებმაც პირველად დაამსხვრიეს ტანჯვისა და წამების ბორკილები.

### მე 3 ინტერნაციონალთან შეერთება.

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ნაციონალურ აღმასრულებელ კომიტეტმა 2,735 ხმით 454 წინააღმდეგ უარყო თავისი წარმომადგენლის გაგზავნა ჟენევაში. კომიტეტმა მიიღო მე 3 ინტერნაციონალთან შეერთების რეზოლიუცია, რომელიც შემოიტანა პარტიის მემარცხენე ფრთამ.

### ბულგარეთის სოციალისტები.

როსტას რეველის განყოფილების ბერლინის კორესპოდენტი იუწყება, რომ ბულგარეთის სოციალისტების კონგრესმა მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც სოციალისტური პარტია უარყოფს ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთათ მუშაობას და იბრძოლებს პოლიტიკურ ძალა-უფლებისათვის რევოლიუციონურ ხალხის მასების ნამდვილ დიქტატურის დასაწესებლათ. მიღებულ იქნა აგრეთვე გამოვიდენ მე-2 ინტერნაციონალიდან და შევიდენ მე 3-ში.

### მე-3 ინტერნაციონალის დელეგაცია ქ. სარატოვში.

ქ. სარატოვში ჩავიდა თორმეტი სახელმწიფოს მუშათა დელეგაცია, რომელიც მოვიდენ რუსეთში მე-3 ინტერნაციონალის კონგრესზე. დელეგაცია დაესწრო რკინისგზელების მიტინგს, საბჭოს საზეიმო სხდომას და ინახულა „უწყებების" რედაქცია და „როსტას" განყოფილება. დაათვალიერა მეურხაბი (მეურნეობის საბჭო), დეტალურად გაეცნო პარტიულ ორგანიზაციის მუშაობას და მონაწილეობა მიიღო ხუთი ათას წითელარმიელების მიტინგზე.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

## საბჭოთა რუსეთში.

### მიმოსვლის აღდგენა

**ეკატერინოდარი**, 30 ივლისი. თეთრგვარდიელების მიერ დანგრეული შავი ზღვის სანაპირო რკინის გზა შეკეთებულია. აღდგენილია ყოველ დღე მატარებლების მიმოსვლა სოჩა და ტუაპსეს შორის.

## საქართველოს წარმომადგენელი ყირიმში.

**მოსკოვი**, 20 ივლისი. გელსინგფორსის გაზეთ „რუსეთის ახალ ცხოვრებას" ატყობინებენ სევასტოპოლიდან: „საქართველოს ელჩმა დ. უ. ბარამიძემ სევასტოპოლში ინახულა სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი ვრანგელი. ელჩის მი-

სალმებაზე მთავარ სარდალმა იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოსთან დამყარდება კეთილ-მეზობლური დამოკიდებულება, მიუხედავათ ზოგიერთ წვრილმან უთანხმოებისა“.

**ფინლიანდიასთან საზავო მოლაპარაკების განახლება.**

**მოსკოვი,** 30 ივლისი. შესდგა ფინლიანდიასთან საზავო მოლაპარაკების პირველი სხდომა.

**კ ა ვ კ ა ვ შ ი.**

3 აგვისტოს შესდგა ქ. კავკავის საბჭოს პირველი სხდომა. ამხ. გეგეჭკორის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ არჩეულ იქმნა თავმჯდომარეთ ამხ. ტაკოევი, მის ამხანაგებათ ნაუმოვი და არისტანი, მდივნებათ მაშკევიჩი და ბლინოვი.

**წითელი მოხალისენი.**

**მოსკოვი,** 24 ივლისი. 17 ივლისს ცარიცინმა გააცილა დასავლეთის ფრონტზე მორიგე მოხალისეთა რაზმი მოხალისეთა შორის 22 ქალი, რომლებიც ჩაეწერნენ, როგორც წითელ სათნოების დები.

**უსწავლელობის მოსპობა.**

**ვლადიკავკაზი,** 1 აგვისტო. არც ისე დიდი ხანია, რაც თერგის ოლქის ჯარში ითვლებოდა 2769 უსწავლელი და 2392 მცირე ნცირე ნასწავლი წითელ არმიელი.

მათ შორის ეხლა 1495 უსწავლელი და 110„ მცირე ნასწავლი უკვე სასწავლებელში არიან. დაარსებულია 73 ჯგუფი 1 საფეხურის და 45 ჯგუფი 2 საფეხურის.

მეცადინეობა სწარმოებს ჯერ-ჯერობით მხოლოდ 91 მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

საგრძნობია მასწავლებლებთა სიმცირე, რის გამო თითვეულ მასწავლებელს უხდება სამ ჯგუფთან მეცადინეობა.

### საზღვარგარეთ.

**მეხმა იგრიალა.**

**ნაუენი,** 31 ივლისი. პოლონეთის დამარცხებამ შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა პარიჟში.

მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ პოლონეთის დამარცხება იმავე დროს საფრანგეთის დამარცხებაც არისო.

ბერლინში იჰვს გამოსთქვამენ რომ ანტანტა ვერ დაეხმარება პოლონეთს, რადგან ბოლშევიკების შეტევა სრულიად გაანადგურებს პოლონეთს, სანამდის ანტანტა მოახერხებდეს პოლონეთისათვის რაიმე დახმარების აღმოჩენასო.

**გერმანელი მუშები და რუსი ბოლშევიკები,**

**ნაუენი,** 31 ივლისი. დანციგში მუშების ჯგუფმა პოლონეთის ჯარის კაცებს წაართვა 60 კაცი ტყვე ბოლშევიკი. მუშებმა მისცეს მათ ტანისამოსი და დააბინავეს თავიანთ სახლებში.

**წითელი დროშა აღმართულია.**

**რომი,** 27 ივლისი. მილანში მოხდა სოციალისტური მუშათა მანიფესტაცია, რომლის დროს ბურგომისტრმა ქალაქის თავზე აღმართა წითელი დროშა.

იტალიაში ძლიერდება გაფიცვები, რასაც პოლიტიკური ხასიათი აქვს.

**მოსკოვი,** 27 ივლისი. „მანჩესტერგარდიენი“ აქვეყნებს ინდოეთის მუშების კავშირის სეკრეტარის წერილს, რომელიც ნათლად ხატავს ინდოეთის მუშების დაბეჩავებულ მდგომარეობას.

სამუშაო დღე გრძელდება 12 საათი, სამუშაო ქირა კი 25—50 კაპეიკამდის დღეში. პირველ საჭირო საგნების ფასმა ამ უკანასკნელ დროს აიწია 100—300 პროცენტით.

ფაბრიკა - ზაოდები, რასაკვირველია, ინგლისელების ხელშია.

ღარიბ-ღატაკ ინდოეთიდან ინგლისში მიდის ყველა მოგება-შემოსავალი, რომელსაც ქმნის დაბეჩავებული ინდოეთის პროლეტარიატი.

ეს მოგებები სასწაულებრივია.

არ არის გასაკვირველი რომ მუშების გაფიცვების რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა მწვავე ხასიათსაც იღებს.

ინდოეთის მთავრობამ იცის მხოლოდ ერთი დახმარება მუშებზე: აამოქმედოს ვინტოვკები და ტყვიისმფრქვეველები.

ტრედ-იუნიონების კონგრესმა გლაზგოში, აღიარა რომ ინგლისისა და ინდოეთის მუშებს ერთი და იგივე ინტერესები აქვთ, ამიტომ მიიღო რეზოლიუცია, გამოიმუშაონ ზომები, რომ აქტიურათ დაეხმარონ ინდოეთის პროლეტარიატს.

**კარლ კაუცკის პარტიიდან გამორიცხვა**

**ნაუენი,** 25 ივლისი. კ. კაუცკის წინადადება მიეცა გამოვიდეს დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან, რადგან ის იცავდა კოალიციონურ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდენ მეუმრავლესე სოციალისტები პრესაში.

**დამოუკ. სოც.-დემოკრატია**

**გამბურგი,** 14 ივლისი. მემარჯვენე სოც.-დემოკრატებმა წინადადებით მიმართეს დამოუკიდებელს შესულიყვნენ მთავრობაში. ამაზე დამოუკიდებლებმა უპასუხეს:

„დამოუკიდებლები ვერ შევლენ იმ მთავრობაში, რომელსაც მიზნათ დაუსახავს აღადგინოს ომისაგან დანგრეული კაპიტალისტური მეურნეობა, რომელიც დამყარებულია ექსპლოატაციაზე, აცოცხლებს და ამაგრებს მილიტარიზმს, პროლეტარიატის სატანჯავათ, როგორც ამას შვებოდა არსებული მთავრობა. დამოუკიდებლების ასეთ მთავრობაში შესვლა იქნებოდა კონტრევოლიუციონური პოლიტიკის მხარის დაჭერა, რომელსაც ებრძოდა პარტია. რეაქციის გაძლიერება, რაც გამოირკვა არჩევნების დროს ნაყოფია მემარჯვენე სოციალისტების კომპრომისული პოლიტიკის. ისინი უკავშირდებოდენ პროლეტარიატის მტრებს, რომლის დამარცხება არ შეიძლება კოალიციონური პოლიტიკით, რომელიც აქუცმაცებს პროლეტარიატს, რომლის მიზანია პოლიტიკურ ძალა უფლების ხელში ჩაგდება და სოციალიზმის დამყარება.

### საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„**ახ. კომ.**“, როგორც მუშათ. კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ია რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგუბერნიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „საქ. კომ.“ რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწვება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

## პარტიული ცხოვრება.

**მე-2 რაიონის მე-9 იაჩექის სხდომა,**

მეცხრე იაჩეიკის სხდომაზე ადგილებიდან მოხსენებების შემდეგ ირჩეოდა საკითხი რეპრესიების შესახებ. ყველა მუშები სასტიკ პროტესტს აცხადებენ უსაფუძვლო რეპრესიების წინაალმდეგ, რომლებიც მიმართულია მუშა-კომუნისტების წინაალმდეგ და მოითხოვენ ყოველგვარ რეპრესიულ ზომების მოსპობას. შემდეგ ირჩეოდა საკითხი ახალი წევრების პარტიაში მიღების შესახებ. სხდომამ დაადგინა მიიღოს ახალი წევრები ინსტრუქციის თანახმათ.

**თბილისის კომიტეტის ბიუროს სხდომა.**

13 ივლისს შესდგა თბილისის კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელმაც მოხსენების შემდეგ დაადგინა: მიუხედავათ იმისა, რომ დევნა დატუსაღება არ წყდება, გაათკეცონ მუშაობა. წინადადება მიეცეს ყველა რაიონებს ნუ წამოეგებებიან პროვოკაციულ ხმების ანკესზე. ბიურომ დაადგინა დასვას პარტიულ დისციპლინის წესრიგში პარტიული მუშაობა და მოიწვიოს პლენუმი ხუთშაბათს 5 აგვისტოს. კავშირის დასაჭერად სხვა და სხვა რაიონებთან ინიშნება ამხ. ს.

**მე-2 რაიონის მე-22 იაჩეიკის სხდომა**

27 ივლისს მოხდა მეორე რაიონის მე-22 იაჩეიკის სხდომა. სხდომას დაესწრენ იაჩეიკის ყველა წევრები, რომლებმაც შეიტანეს დღიურ წეს-რიგში მთელი რიგი საკითხებისა. შემდეგ მოხსენება იყო რაიონულ საბჭოდგან. რაიონულ საბჭოს ყველა რეზოლიუციები მოიწონა იაჩეიკამ. კულტურულ-განმანათლებელ საქმის გასაუმჯობესებლად იაჩეიკის სხდომამ გადასწყვიტა რეგულიარულად მიიღოს თბილისის კომიტეტის ბიბლიოთეკიდან ლიტერატურა. გადაწყვეტილ იქნა მოეთხოვოს თბილისის კომიტეტს ერთი პროპაგანდისტი ზოგიერთ პარტიულ კითხვების გასარჩევად.

**მე-2 რაიონის მე-25 იაჩეკის სხდომა.**

მე-2 რაიონის მე-25 იაჩეიკის სხდომაზე რომელსაც დაესწრენ იაჩეიკის ყველა წევრები, მთავრობის რეპრესიების საკითხის გარჩევის შემდეგ, ერთხმათ მიღებულ იქნა: 1) პროტესტი განაცხადონ იდეურ პარტიულ მუშაობისთვის დევნის წინაალმდეგ. 2) დაეხმარონ ჩვენი პარტიის აქტიურ მუშაკებს და მიუხედავათ რეპრესიების და დევნისა მჭიდროთ შეაკავშირონ მუშები. რეპრესიების საკითხის გარჩევის შემდეგ მოხდა არჩევნები რაიონულ საბჭოში, ასარჩევი იყო თავმჯდომარე და მდივანი.

## მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა.

### ჩ ვ ე ნ შ ი.

**ცენტრალურ მომრიგებელ კამერაში.**

ცენტრალური მომრიგებელი კამერა არის მენშევიკების მსოფლ-მხედველობის ნაყოფი. მენშევიკების თვალსაზრისით, დემოკრატიამ უნდა იაროს ბურჟუაზიასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული. ამიტომ დაარსეს მომრიგებელი კამერა, რომელმაც უნდა გაარჩიოს მუშებსა და მწარმოებლებს შორის ატეხილი დავა.

მომრიგებელ კამერაში მუშები ძლიერი შიშით და ძრწოლვით ეკიდებიან საქმეს. ამაზე მენშევიკები ამბობენ, რომ მუშებს ჯერ კიდევ ძველი ჩვეულებები აქვთ, რომ ისინი არ არიან საკმაოთ განვითარებული და სხვა. მუშები ვერ გამორკვეულან იმაში თუ რა დაწესებულებაა მომრიგებელი კამერა, ვის ინტერესებს იცავს ის. ამიტომ კრძალვით ეკიდებიან საქმეს.

მაგრამ, სამაგიეროთ მწარმოებლები კი სრულ ბატონათ გრძნობენ თავს ამ დაწესებულებაში და ხანდისხან მუქარითაც კი მიმართვენ მუშებს.

ხშირად ხდება, რომ კანონის ძალით მუშების ხვედრი ფული ნაწილდება მუშებსა და მწარმოებლებს შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული კონფლიკტი. ასეა ყველგან და ყოველთვის. ყველგან წვრილბურჟუაზიული საქმიანობა. ყველგან მუშების თვალის ახვევა სხვა და სხვა საშუალებებით.

რომ მუშების ხელში იყვეს ძალა-უფლება, მაშინ არც საჭირო იქნებოდა ასეთი დაწესებულება როგორიც არის მომრიგებელი კამერა.

**აშ.**

### საზღვარ-გარეთ.

**შრომის ფრონტი.**

ნავთის მოტანის გამო ტრანსპორტის საქმე უმჯობესდება. ორთქმავალები გადაკეთებულია ნავთით გათბობაზე.

მინსკში „შაბათობა“ ძლიერ კარგად ჩატარდა. შესწორებული იქმნა მრავალი დაზგები. გადმოტვირთეს ვაგონებიდან ბევრი სამხედრო ქონება.

**პროფესიონალურ კავშირების დევნა რუმინიაში.**

მთავრობამ გადასწყვიტა მკაცრი ზომები შემოიღოს პროფესიონალურ კავშირების საწინაამდეგოთ. მან უკვე დაითხოვა ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინის გზელ მუშების კავშირი. მთავრობამ შეატყობინა სახელმწიფო მოხელეთა კავშირის გამგეობას, რომ მოხელეთა ყრილობა, რომელიც უნდა შემდგარიყო მოკლე დროში, არ შეიძლება ნება-დართული იქმნას.

## სომხეთიდან.

უკანასკნელი ცნობები ნათელ ყოფენ იმას, რომ უზუნტალის (დილიჟანის მაზრა) გლეხობას სულით და გულით უნდა საბჭოთა მთავრობა, რომ ეს გლეხობა მზათ არის ამ იდეის განხორციელებისთვის თავი შესწიროს. ამ რაიონში მდგომ ჯარის ნაწილებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან იმოქმედონ რევოლიუციონურ გლეხობასთან ერთად.

როდესაც დაშნაკელების მთავრობამ დაინახა, რომ მარტო კომუნისტების დევნით არ შეუძლია მოიპოვოს სულის სიმშვიდე, გაგზავნა დილიჟანის მაზრაში თავისი ერთგული „მაუზერისტები“ და ახალი ჯარის ნაწილები. დაშნაკელ „მუშათა და გლეხთა“ მთავრობის ბრძანებით „მაუზერისტებმა“ დაიწყეს თავისი შავი საქმეების კეთება. რასაკვირველია იაფად არ დაჯდომიათ ეს საქმე მათ. რამდენიმე კაცი დაკარგეს მოკლული.

რევოლიუციონური გლეხობამ შესაფერისი პასუხი გასცა მათ. მაგრამ შემდეგ აჯანყებული ჯარის ნაწილი და გლეხობა იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ და გადასულიყვენ აზერბეიჯანის ტერიტორიაზე.

ამის შემდეგ ყოველივე საშუალება მიეცათ თავისუფლათ ემოქმედათ.

ზარბაზნის ცეცხლით გადასწვეს სახლები, გარეკეს ოთხ-ფეხი საქონელი.

მათი მხეცობა იქამდისაც კი მივიდა, რომ შეურაცყოფა მიაყენეს დარჩენილ ქალებს.

ასეთი უმგვანო საქციელი რომ ჩაედინა ზანგიბასარის ან სხვა კუთხის თათრებს, დაშნაკელთა გაზეთები ისეთ აურზაურს ასტეხდენ, რომ მთელი ქვეყანა განცვიფრებაში მოვიდოდა.

მაგრამ ამ ამბებზე ისინი არაფერს სწერენ. ვითომდა აქ არაფერს არ ქონებოდა ადგილი.

ჩვენ ვეკითხებით დაშნაკელ მთავრობას:

სად წავიდა აჯანყებული სომეხი გლეხობა და ჯარი, ვის შეაფარეს თავი?

თუ არა დაშნაკელ კაციჭამია ნაციონალიზმი, რომელიც შურს და მტრობას სთესავს ორ მეზობელ ერთა შორის, იცხოვრებდენ თუ არა სომეხი და თათრის გლეხობა და მუშები ძმურათ?

გამოქცეულები აცრემლიანებული თვალებით მოგვითხრობენ დაშნაკელ ჯალათების სიმხეცეზე.

ისინი ქონებრივათ განადგურებული არიან.

მაგრამ დრონი იცვლებიან და დაშნაკელები მოიმკიან მას, რაც დასთესენ.

**X.**

## ოსების მდგომარეობა

წარსულ კვირაში შინაგან საქმეთა მინისტრი ეწვია გორსა და ცხინვალს, მას სურდა ადგილობრივ გასაცნობადა ოსეთის მცხოვრებთა მდგომარეობას და საქმის საერთო ვითარებას ჯავის ხეობაში.

დაბრუნების შემდეგ ნ. რამიშვილმა განაცხადა, რომ იგი ადგილობრივ დარწმუნდა იმაში, რომ ექსპედიციის დროს ოსების მიმართ მართლა ჰქონებია ადგილი ზოგიერთ ექსცესებს. ეხლა ეს ექსცესები აღარ არსებობს და ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, შინ. საქმეთა მინისტრმა მილიციასა და გვარდიას მისცა ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა ექიროთ მათ თავი მომავალში ოსების მიმართ. თუ ისინი არა სათანადოთ მოიქცენ, იმ შემთხვევაში მათ პასუხისგებაში მისცემენ. შინ. საქმეთა მინისტრმა ამასთანავე განაცხადა, რომ ჯავის ხეობის აჯანყებულებმა დასტოვეს საქართველო და ჩრდილო ოსეთში გადავიდნენ. მათი დანარჩენი ნაწილი იქითვე საჩქაროდ ახდენს ევაკუაციასო. განთავისუფლებულ მაწებს იმერენ რაჭის, დუშეთის და ოზურგეთის მაზრიდან გადმოსახლებულნი. შინაგან საქმეთა მინისტრი ამბობს, რომ საერთოდ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არის.

„ერთობა“ № 173.

**დრ. რედაქტორი: დიმიტრი ჯორბენაძე.**

## უ წ ყ ე ბ ა ნ ი:

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო** დროებით მოთავსებულია რუსთველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ხერქეზოვის ქუჩაზე 135. სადაც პლეხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამოობით 5—7 ნახ. საათამდე.

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებით გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზდათა კომუნისტური პარტიისა.

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.**

## ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-3 საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კობა (სტალინ) ჯუღაშვილი—დიალექტიური მატერიალიზმი.
11. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი.
12. ნ. ბუხარინი —პროგრამა კომუნისტებისა (ბოლშევიკების).
13. პარტიული წესდება.

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. 3,